№ 16 კვირა, 22 ივნისი. | ერთი წლით ჟურნალი ღირს 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით 1 მ. 25 კ. წერილები და ფული უნდა გამოგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Мухранская 12, для журнала „ЛАХТИ". | ფასი 5 კაპ. № 16



ლომი და ამური, — ქანდაკება ვეისნფელისა.

„ლახტი“-ს

თანამშრომლების და მკითხველების საყურადღებოდ

ხუთშაბათი დღეა. ნაშუადღევის სამი საათი იქნება. პატარა ოთახში ერთი ჩვენი თანამშრომელი მასალებს ასწორებს ჟურნალისათვის, ხელში აკიდებული გლარჯის მალი უჭირავს. მაგიდაზე აუარებელი წერილები ჰყრია: დრამები, კომედიები, მოთხრობები, ახალი ამბები და ყველას აჭარბებს ლექსები. ოხ! ლექსები, ლექსები.. რა დაუდევარნი რამ არიან ეს ლექსები: დახტიან, იცინიან, სტირიან, იჩოქებენ, გულს ეკვრიან,—შორდებიან, სცურაობენ, ქანაობენ, დაფრინავენ.

დილის ექვსი საათიდან დაწყებული, ნაშუადღევის სამი საათი სრულდება და კიდევ ვერ აურჩევია მორიგი ჟურნალისთვის მასალები. ხუმრობა ხომ არა გგონიათ, ყველას გადაკითხვა უნდა, წითელი ხაზების გადატარ-გადმოტარება, მოკლეს დაგძელება, გძელის დამოკლება. თანამშრომელს დაღლილობა ეტყობა, მუცელიც რაღაც მშიერ მგელივით ღმუის, მართალია ვარდ ყვავილების, ყვავ-ყორნების სახელს ხშირად იმეორებს, მაგრამ ეს არც დღევანდელს და არც ხვალინდელს სადილად გამოდგება. აი ასეთი კომიკური მდგომარეობა, უცებ დრამად შეიცვალა; თანამშრომელს მისდა შეუმჩნევლად აკიდებული გლარჯის მილი ხელიდან გავარდნია, პირველად ერთ სუმბუქ ხტომია ლექს მოსდებია ცეცხლი, დაუდეგარს რასაკვირველია, ხტომა დაუწყია და თავისი ალის კაბა ყველასთვის გადაუცვამს. დადგა ჯოჯოხეთური სურათი: სიცილი, ტირილი, ჩოქვა, ფრენა, ცურაობა, ქანაობა და მთელი ოთახი ალმა მოიცვა. ღმერთმა უშველოს გულკეთილს და პურმარილიან არჩილს ჩვენი თანამშრომელი ოთახიდან ცოცხალ-მკვდარი გამოუტანია, აბანოში გაურეცხია და ერთი თაზათიანად გამოუძლვია.

დღეს ისევ რედაქციაში მოვიდა და შემდეგი კითხვების დაბეჭდვა გვთხოვა, ჩვენც ვასრულებთ მის თხოვნას, შემდეგი პირობებით: ვინც პირველად გამოგზავნის პასუხს ამ კითხვებზედ, მას მთელი ამ წლის ჟურნალი ,,ლახტი'' უფასოდ დაეთმობა.

აი კითხვები:

1) რომელი მცნება არის ჩვენში დაურღვეველი?

2) ვინ მოიგონა ქართული ანბანი და რომელ წელში?

3) რა არის ქართველის დაუძინებელი მტერი?

4) ვინ იყო პირველი მგოსანი საქართველოში?

5) რა არის ყველაზე ულამაზესი საქართველოში?

6) რა არის ყველაზე უმახინჯესი?

7) დღეს ახალგაზდა მგოსნებში პირველობას ვის აკუთვნებ?

ძღვნად ნუცას

ვარდს ფურცელი ჩამოვკორტნე,
პაწაწინა-ფუსფუსელა,
გულის ძაფით ვაგვირისტე..
წერილია ვეზერთელა.

—

ის კაბა გაკანვერტე.
ზედ მაყვალით დავაწერე:
ნუ-ნუს წარსულს შეეხება,
აწმყოც შიგ არის დამიჯერე.

—

მარჯანს*) მივეც ამანათი;
მითხრეს.. კიდეც მოგიტანა,
მის მომავალს, რომ გავეცნო
ამის ღირსი არ ვარ განა?!.

ლე-პარდონ.

*) მარჯანი—ფრინველია.

სრულიად სცენის მოღვაწეთა საქართველოს პირველი კრება

საათი პირველი.

ვინაიდგან ასეთი კრება დღემდი მკვდრებში ყოფილა ჩარიცხული და ეხლანდელ ქართველებს არ მოსწრებია, კრებაც მკვდრების ხსენებით გაიხსნა. წაკითხულ იქნა ცოცხლებიდან მილოცვები: „ცხოვრების“, „ფურცლის“, „რეჩის“, ხარკოვის, კომპოზიტორის, მეცნიერების, მარგანეცის, „ახალი ხლუსტის“ და სწრაფი მილოცვები სწრაფი თავადებისაგან: ოზურგეთიდან, ქუთაისიდან, სოხუმიდან, ბორჩალოდან.

საათი მეორე.

კომიტეტს (ვინ ითვლებიან კომიტეტში, კრების ისტორიამ ეს არ იცის). აურჩევია პრეზიდიუმი, უკანასკნელს თავის თავმჯდომარედ გ. ლასხიშვილი, მის თანაშემწედ ქართველიშვილი. ვინაიდგან მისი მტერი ცოტა უქეიფოდ ბრძანებულა—მაგიერად გიგიენური მუშტუკით კ. აბაშიძე, მის თანაშემწედ კრინიცკი, თანაშემწედ მსახ. ვლ. მესხიშვილი, და მის თანაშემწეთ ვექ. ბარათაშვილი.

საათი მესამე.

მდივნებიც რიგ რიგობით. უფროსებათ: შალვა და ანდრონიკაშვილი, (შალვას გვარი ინიცრიატორობაში დაუკარგავს. ვინ არის დამნაშავე?—დიდიანი ვკითხულობთ).

თანაშემწეებად: ჰანტურიშვილი, რომანიშვილი, ი. იმედაშვილი და სტარშის მლადში პოპოშნიკად ირეთელი, გვარად პ—ლიუს.

საათი მეოთხე.

იკამათეს, იმსჯელეს, იბაასეს, ისადილეს, ისაუზმეს, იკარნახეს (ვისაც დასჭირდა), ისერიათეს. ერთი კვირის განმავლობაში თეატრები სახალხო წარმოდგენებისთვის ააგეს: ქუთაისში, ფოთში, ბათუმში და ნაესაკოვში, თბილისში კი „ახალი ხლუსტის“ დარბაზი ბანქოს ქაღალდებისაგან და ლოტოს კარდონებისაგან ისე გააგანიერეს, რომ ხარფუხის ახლად დაქირავებულ ბაღის ბოლოში ქანდარა მოაწყვეს

საათი მეხუთე.

ღირს შესანიშნავი მოვლენები ბევრი არა ყოფილა, მხოლოდ: ერთხელ იტირა ვლ. მესხიშვილმა, ჰკუაზედ შეტორტმანდა მ. თაიძე, მოქიდავეთა რიცხვში გამოვიდნენ მსახიობები, ვინაიდგან მათ ჩალამაზებულ პირის სახეზედ სირცხვილის ალმურიააყენა შალ. მესხიშვილმა,

სარმა გამოჰკრა წუწუნავამ და მოგვერდი ბარველმა

საათი მეექვსე.

დელეგატებს სადილი გაუმართა წევრებმა, (რომელ საზოგადოებისამ არ ვიცით), სადილზე ისე დამთვრალიყვნენ, რომ კრებაზე მოსაყვანად დაგვჭირდა მაძებრები. კრება დაიხურა ლოყათა ხოცვით და ცრემლთა დენით.

დღეს სრული კომპლექტი დელეგატებისა (თუ ვინმე პადვალში არ დაგვემალა), ეგზავნება პროვინციებს ბაგაჟით. გთხოვთ სეზონის დაწყებამდე გამოისყიდოთ.

თავისუფალი სკამი.

ოხ, რა დილაა!..

ოხ, რა დილაა!.. მზე პირ-მცინარე
ბრწყინავს, ქათქათებს.. ცა მოწმენდილა
და სამკურნებელ ეშხის ნექტარსა
უხვად აწოდებს დღეს მას ეს დილა!..

—

ბუნება ხარობს!.. მერცხლები ცაში
დაჰიკჰიკობენ, ჟრიამულობენ,
ნაკადნი სჩქეფენ, ვარდის კოკორნი
იღიმებიან, მხიარულობენ!..

—

ბულბულის სტვენა ცის სივრცეს აპობს,
მსოფლიო ნეტარ ჰანგით ივსება!..
მე მათ შემყურე ვკრულავ სვედებსა
და სასიცოცხლოდ გული მეხსნება!..

დ. საქარელი.

„ღალატი"

ლეგენდა-სარკე 1 სურათად.

(მოქმედება სწარმოებს ქ. ქუთაისში გაზეთის რედაქციაში. მთავარი ხელმძღვანელი გაზეთისა ზის საწერ მაგიდასთან. მის მახლობლად სდგანან მისი ერთგულნი ხელნი და მრავალი თანამშრომელნი მოისმის მდინარე რახრახის დუდუნი. ფარდა ახდება. დუმილია.)

სულეიმანი. დიდ არს სახელი და ძლიერება ჩვენი!..

ყველანი. დიდი არს სახელი და ძლიერება ჩვენი!..

სულეიმანი. „სახალხო ფურცლის" მთავარი სულის ჩამდგმელი და ძმანი მათნი, უსაზღვროდ იმუქრებიან და იძახიან: „სულ გავწყდებით და ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყულ ტერიტორიას არავის დაუთმობთო. სისხლს დავღვრით და ჩვენს ეროვნულ რწმენას არავის შევაბღალვინებთ და შევაგინებინებთო" (ბრაზმორეული). ჰმ! სად იყვნენ ეგ „პატრიოტი ფეოდალები" მაშინ, როდესაც მთელი გურია ავაჯანყეთ.. განა მთელი ქართლის მაგალითები, ჩვენი სიბრძნის ნაყოფი არ იყო?!. (სიჩუმეა). დღეს, „სახალხო ფურცელში" კიდევ რაღაცას მოვკარ თვალი! მგონია ხატისოვს და ქალაქის გამგეობას ემუქრებიან.

ოთარ-ბეგი. მოიღეთ ჩემზე ნდობა თქვენი გვირგვინო ერთობისავ და დღესვე საპასუხო წერილს მივძღვნი.

სულეიმ. მოვა დრო და მართლაც დავაწერინებთ.. ჯერ ნუ სჩქარობთ. შეიძლება კიდევ წამოსცდეთ რამე. (სიჩუმეა). დღეს კიდევ მოვიდა საპროტესტო წერილები?

ოთარ. ეს არის ეხლა მივიღე ფოსტა სხვადასხვანო.

სულეიმ. ვინ აწერს „პროტესტზე" ხელსა?

ოთარ. ბოგანო ხალხი, სულ მუშებია; სარდაფის ბიჭები, წვრილფეხობა განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა და წლოვანებისა. მართალია, ისინი არ იცნობენ... ერთი სიტყვით, პარტიული ჟინით გაჟღენთილი ხალხი.

სულეიმ. ოთარ-ბეგ! შენ დიდ ღვაწლსა სდებ მშრომელ ხალხს. შენ ძლიერ ერთგული ხარ.

ოთარი. კანონო სიტყვიერებისავ! განა მე როდისმე უკან დამიხევია ბრძოლის ველიდან!.. რათ დავიშურებ ჩემს ენერგიას. განა მე არ ვიყავი რომ ჩემი ენა უარვყავი?. განა მოქმედებით ვერ მატყობთ?.. გული ჩემი ერთის გრძნობით გამსჭვალულია!.. მე არა ვარ, რომ მთელი დაბა სოფლები შემოვიარე და გლეხკაცობას ტერიტორიის არარაობა დაუმტკიცე!.. მე არა ვცდილობ რომ,—რაც კი ქართული ნაშთის ნასახიც მოიპოვება, — ავლაგმო პირიდან დედამიწისა!.. განა ამ ჩემმა მახვილმა ენამ არ ამოჰგლიჯა ხალხის გულიდან უკანასკნელი სიყვარული იმ დიდებული.... (ამ დროს ციდან მოისმის საშინელი გრგვინვა).

სულეიმ. შენი გმირთა-გმირობა ოქროს ასოებით საისტორიო დავთარში ჩაიწერება ოთარ-ბეგ და, ჯილდოთ ბოგანოთაგან დეპუტატობას მიიღებ.

ყარა-უსუფი. თქვენ შეიქნებით მმართველი კავკასიისა.

ადრაზაკი. „ფიქრი" და „აზრი" იქნება მოზიარე თქვენი სიბრძნისა.

სულეიმ. ოთარ-ბეგ! რა ამბავი ისმის დაბა ჭიათურიდან რვა მუშისა? - რაო, რა გვინდაო, რას ამბობენ?..

ოთარი. რომავენ და მიჰქარავენ, ბრძანებელო.

სულეიმ. მაინც?

ოთარი. შინაური მტრები არიან, ღალატი უდევთ გულში. დემაგოგები არიან!.. განა შეუძლიან მუშის უსუსურ გრძნობას კრიტიკას მსჯავრი დასდოს? შეიძლება „მამულიშვილთა" ბანაკიდანაც იყვნენ, ვინ იცის! მოგეხსენებათ, ეხლა ქართველი მუშები სანდონი აღარ არიან. სომხები რომ ყოფილიყვნენ კიდევ ჰო! ამიტომ მათი ხმა დავტოვეთ ხმათ „უდაბნოსა შინა". დაე, ყოველი მოღალატე მსხვერპლი შეიქნას პრომეთეოსისა.

სულეიმ იშალააა!.. ძლიერია ბატონობა ჩვენი, ძალიან კარგად მოქცეულხართ. რადგანაც მაგათ გაჰბედეს და ჩვენი გულის საიდუმლოებაში ხელის ფათური მოიწადინეს, ამისათვის დატუქსეთ სასტიკად!.. ყარა-უსუფ! დღესვე „საპროტესტო" წერილები მოამზადე 25 კაცის სახელით.

ყარა-უსუფი. ვისი სახელით, ბრძანებელო ჩვენო?

სულეიმ. თუნდა დიტრიხის მუშებისა (ყარა-უსუფი წასვლას აპირებს). მოიცა, არ დაგავიწყდეს მარკოვი, ტიმუშკინი და ზამისლოვსკი უწოდე იმ ურჩ მუშებს და, თუ საჭი-

როდ დაინახო,—პურიშკევიჩიც არ დაივიწყო...

ყარა-უსუფი. ბრძანებელო! ისინი რომ არ იცნობენ მარკოვ-ტიმოშკინ პურიშკევიჩს!.. განა კახეთიდან ჩამოსული ბიჭები, რომლებიც ლუდის დროგებზე სხედან, იცნობენ იმათ? მე ვფიქრობ, რომ ისინი, მე და შენც არ გვიცნობენ. ამიტომ...

სულეიმ. სიტყვა ჩემი, ხმალია თქვენთვის!..

ყარა-უსუფი. თქვენს სიბრძნეს და ბრძანებას ვემორჩილები... ვარსკვლავო ცისკრისავ... თქვენი სიტყვები კანონია ჩვენთვის.

სულეიმ. (წამოდგება). რადგანაც შენ, ბოგანო ხალხის სამსახურში ორტოფობა შეგამჩნიე, ამისათვის შენ ჩვენთვის საჭირო ადარა ხარ... გზა შენი შავ-ბნელი იყოს, შეგიძლიან „მამულიშვილთა“ ბანაკში შეაფარო თავი.

ყარა-უსუფი. სხივოსანო... შემიბრალეთ... რათა მტუქსავთ...მე ხომ სიმართლე მოგახსენეთ, მეც ხომ „მამულიშვილი“ არა ვარ?!

სულეიმ. კმარა!.. შეგიძლიან, შეგიძლიან მიეფარო თვალთა ჩემთა, და ასეთი ორგულობისთვის—ჯილდოთ მიბოძებია პურიშკევიჩის სახელი. (ყარა-უსუფი ხმა აშოუდებდეგ გადის). ყველას ასე მოვექცევი, ვინც გაჰბედავს „ურჩობას“ (დაჯდება). ოთარ-ბეგ! როგორ გათავდა სილნაღის არჩევნები?

ოთარი. სასურველად ბრძანებელო. ექიმები, ვექილები, ქართველი შოვინისტები და განსაკუთრებით „კაპიტანი“ კ. ტყავაძე, სუყველა გაგაშავეს, და მათ ნაცვლათ სომხის მეწვრიმალები ამოირჩიეს ქალაქის მამებათ.

სულეიმ. კეთილი... ძალიან კარგად მოქცეულან, ღმერთმან განაძლიეროს კაპიტალი მათი..- ჩვენი საქმე, როგორც ვატყობ, ისე მიდის, როგორც ჩვენა გვსურს. საბრალო ტყავაძე, საწყალი ჭიათურელი რვა მუშა. ჩავჩარეთ პირში ბურთი თუ არა!.. ხა... ხა... ხა... ხა... რატომ არ გეცინება ოთარ-ბეგ,—მხიარული არა ხარ?..

ოთარი. მხიარული გახლავარ ამოამავალო მზევ... ვისაც „სინიდისი დამშვიდებული“ აქვს, ის ყოველთვის მხიარულია... რაზედ მოვიღუშო—ჩვენი სვე-ბედი გულ-უბრყვილო ხალხზეა დამოკიდებული, რომელსაც „ბოგანო ხალხი“ ეწოდება, მაგრამ მოგეხსენებათ შემთხვევა—ბედნიერებას, უბედურებაც თან მოსდევს!..

სულეიმ. რა გინდა მაგითი სთქვა?

ოთარი. (რუკვაშია). გუშინ უძლეველო, მოულოდნელად...

სულეიმ. სთქვი რა იცი?!.

ოთარი. გუშინ უძლეველო, დამიბარეს სადაც ჯერ-არს და განკარგულებაზე ხელი მომაწერინეს, რომ ამიერიდან მე ენა დავიდუმო.

სულეიმ. (მკაცრი გამომეტყველებით). ეგ გასაკვირველი არ არის.. ეგ ეგრეც უნდა მომხდარიყო... მაგრამ შენ ძლიერ ჭკვიანი კაცი ხარ ოთარ, ხომ არ იცი, ეგ ღალატი საიდან მოხდა?!

ოთარი. რასაკვირველია მამულიშ...

სულეიმან. რაო! მამულიშვილები!.. ჰმ, ეგ ქვემძრომნი, ჯაშუშები, მოღალატენი!.. ხვალვე აუწყეთ გაზეთის საშუალებით ეს შემთხვევა, შეატყობინეთ ყველას, რომ ჩვენ გაგვცეს და გვიღალატეს იუდასა მებრ ქვეყნის ორგულებმა. თქვენ კი—ასი ყური გამოიბით, ასი თვალი იქონიეთ და ფხიზლად იყავით. სასტიკად თვალ-ყური ადევნეთ ყოველ მათს ნაბიჯს და მოქმედებას. სულის უბეში ხელები უფათურეთ. წყევლა და კრულვა იმათ თავს. (წამოდგება) მთელი ევროპა შემოვიარე, ურიცხვ „სიეზდებს“ დავესწარი, მრავალი სამეცნიერო წიგნები გადავიკითხე—პირველმა მე შემოვიტანე საქართველოში სოციალისტური მოძღვრება და, ნუ თუ ვისმეს ძალუძს წინააღმიდგეს!!. (ჰაუზა) ვარსკვლავებს რომ უყურებ თითქოს ჰქრებიან, ოთარ ბეგს ხელი მოაწერინეს, ყარა-უსუფი ურჩობისათვის გავაგდე, ჭიათურიდან მუშები ცალკე აგვიჯანყდნენ!.. რას ნიშნავს ყველა ეს?!. (ჰაუზა) ოთარ-ბეგ, ღამე ძალიან ცუდ სიზმრებსა ვხედავ, იდუმალი ხმა ჩამჩურჩულებს: „ცოცხლები ვერას დაგაკლებენ, მკვდრებისა გეშინოდეს!..“ (ამ დროს აჩრდილი გამოჩნდება ერთი ქართველი მწერლისა, მაგრამ ისევ მალე გაქრება).

ოთარი. გადაიყარეთ ღრუბელი კაეშნისა, სხივო ვარსკვლავისავ და მოისმინეთ ღალადი შენის ერთგულის

სულეიმ. რა იცი ახალი?

ოთარი. ჭტრებს უკვე სამაგიერო გადაუხადეთ.

სულეიმ. როგორ?

ოთარი ამ დღეებში ქუთაისის ნოქრებმა თავიანთი „ზნეობრივი მოვალეობა“ მოიხადეს.

სულეიმ. რითი?

ოთარი. ყოფილ დასელს, ეხლა კი „მამულიშვილს“ ირ. ევდოშვილს, მოწვეული ჰყავდა ჩვენი ღმერთა—საყვარელი მგოსანი ვ. რუხაძე, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო ევდოშვილის საღამოში, მაგრამ ჩვენმა „შეგნებულმა“ ნოქრებმა არ მისცეს ნება რუხაძეს, რომ დაეხმარებოდა ევდოშვილს.

სულეიმ. გულზე შეექსა მფენს შეენი სიტყვები ბრძნულის გრძნობით წარმოთქმული. ეხლავე იმ ნოქრებს სამადლობელი წერილი მიუძღვენი „შეგნებული“ მოქმედებისათვის... სხვა, როგორ მიდის გაზეთის გავრცელების საქმე?

ოთარი. ჩინებულად მზეო ამოსავლეთისავ... შესაფერი განკარგულება მოვახდინეთ, ყოველ დაბებში და პროვინციალურ ქალაქებში ფარული აგიტაცია სწარმოებს, რომ ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების მოვაჭრეებმა დამალონ ყველა „მამულიშვილთა“ ჟურნალ-გაზეთები და მხოლოდ ჩვენი გაასაღონ. ეს საგმირო საქმე განსაკუთრებით ჭიათურაში არის მოწყობილი... ერთი სიტყვით, ვმოქმედობთ ისე, როგორც შეეფერება შეგნებულ დემოკრატიის „კლასთა ბრძოლას“.

სუქიამ. მომწონს თქვენი ბრძნული მოქმედება.. თქვენი უანგარობა ბოგანო ხალხისაგან უყურადღებოდ არ იქნება დატოვებული...

ოთარი. თქვენი სიტყვები ბრძანებელო, მიორკეცებს სურვილს მოქმედებისას... ვეცდები თქვენი ყურადღება დავიმსახურო!.. ამ დღეებში მივემგზავრები დაწყებული საქმის გასაგრძელებლად.

სუქიამ. გასწი თბილისში, მხოლოდ ლექციის თემა არ დაგავიწყდეს!.. (ოთარი მოწიწებით თავს დაუკრავს, რამდენიმე ნაბიჯს გადასდგამს. ოთახის კარებს გააღებს, უნდა გავიდეს, ამ დროს გამოჩნდება აჩრდილი ქართველი მწერლისა, რომელიც რამდენიმე სიტყვას იტყვის).

აჩრდილი. „ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დასამალად ზედ დედამიწა გადაეფაროს! (სცენა საშინლად დაბნელდება და აჩრდილი სწრაფად გაჰქრება.)

ფარდა.

დ. მელია.

...ის არ მასვენებს!!!

(დრუბლის ჩივილი)

როს მავონდება მწარე წარსული სამშობლო ქვეყნის,
როს მოვიგონებ მიყუჩებულ—იარა-სენებს,
ამოვარდება ქარიშხალი და მდევნის... მდევნის. .
..ის არ მასვენებს!!!

—

—რა გინდა ქარო?! რათა მდევნი?! რა დაგიშავე?!!!
მინდა ვიტირო, ამეშალა ფიქრები მწვავე,
დედაჩემს ვსტირი! მშობელ დედას! დაობლებულა,
მწუხრის მძივებით აუკინძავს ყარყარა ქულა.
მას არ სტირიან სხვა შვილები, წასულან შორსა,
სულს დალევს დედა... ვერ იგრძნობენ მშობლის ამბორსა,
ჰექა-ქუხილით ერთმანეთსა ეხეთქებიან;
მერე ტირილი და ცრემლები იქნება გვიან!

—

გამიშვი მარტო მე ვიტირო მშობელი დედა!!
მას ჩემი წმინდა და სპეტაკი ცრემლი ამშვენებს..
მაგრამ, აი! კვლავ ამოიჭრა, მომგვარა სევდა!..
...ის არ მასვენებს!!!

ლადო.

დავითის სიმღერა

(დიდი ჯიხაშელებისათვის)

სთქვა დავითმა—მე ასე მსურს,
ექიმს ეთქვას აქ უარი;
რომ მართლა ვსჯი, დამიმოწმებს
ამას ნამდვილ მამუჩარი!

ხალხი ვინმეს აჯილდოვებს,
ის მოღვაწე როდი არი;
მართალს ვამბობ—დამიმოწმებს
უეჭველად მამუჩარი!

ხალხის აზრი რას მიქვია,
ჯიხაიში ჩემი არი,
რომ ასეა, ჭეშმარიტად
მემოწმება მამუჩარი!

კომიტეტი—ეს, ეს მე ვარ,
კარგად ვიცი ჩემი გვარი,
თუ არ გჯერათ—დაეკითხეთ,
პასუხს მოგცემთ მამუჩარი!

ოქმი მე თვით დავადგინე,
მოძღვარს სილა გავაკარი,
მასაც ხელი ვაწერინე—
დამიმოწმებს მამუჩარი!

ყველა ფეხ-ქვეშ მოვიქციე,
დავუბნიე მათ დავთარი,
მარტო არ ვარ, მეხმარება
ამ საქმეში მამუჩარი!

გერასიმე დავითანხმე,
აასრულა რაც ვუთხარი,
თუ არ გჯერათ, კიდევ ჰკითხეთ,
დამიმოწმებს მამუჩარი!

მე ვარ და ჩემი ნაბადი,
თქვენც კი იცით ჩემი ჯარი,
ჩემი გულის მეგობრები,
ძმათ ნაფიცი მამუჩარი!

მე ვბრძანებ და ის იქნება,
მთლათ სოფელი დავიპყარი,
რასაც მინდა იმას ვიზამ,
აქ არა მყავს მამუჩარი?!

ჩემი ქცევით ძმათ ნაფიც არს,
ერთობ გული გავუხარი,
ერთად ვიყავთ, ერთადა ვართ,
მე, სამსონი, მამუჩარი!

მე ასე მსურს—სთქვა დავითმა,
ექიმს ეთქვას აწ უარი,
მას მავალებს მირონობა,
ძმათ ნაფიცი მამუჩარი!..

№ 102.

სამიკიტნოში

(სცენა)

მიდღემჩი არ დამმართია ასთე და ერთ დღეს კე არ დამტოვა პოეზმა! რაცხა არეული პოეზდები ყოფილა ჩეთვერთი კლასს, რომ უძახიან ქალაქ სამტრედიაში, მარა ვაი ამისანა დარჩენას. არც მაქ ჯიბეში ორი შაურის მეტი, სადილის ჭამას სახლში ვფიქრობდი, ახლა სეით უნდა ისადილოს კაცმა ორ შაურათ, მერე თავ-მომწონე კაცი ქევარ ვინცხეის არ იყოს. ვიყურყუტე ერთ ხანს, ვიყურყუტე, მარა დამძლია შიმშილმა, წამოვდექი ჩქარა, არ შემამჩნიოს ასთე კაცმა მეთქინ და ჩქარა გავაბიჯე ფეხები. მარა ვაი ამისანა სიჩქარეს, რომ მივაწიე სტანციეს კარებთან უკან გასავალს, კალამე წევიქეცი შიმშილიდან, და რავარცხა იქნა მივაწიე იქინე პირდაპირ, რომ სამიკიტნო არის, სახელი არ მახსოვს, გვარი ასთე ეწერა დიდ ფიცარზე დახატულს გუდის ქვეშ „მამფორიაო“.

როგორც შევედი ჩემო ბატონო თვარა, ვინცხაშ ძვილათა სიმსუქნისაგან, არ მაცალა და ისთე შემეკითხა,—რა გნებავსო. —მე უთხარი ერთი შაურის პური და ერთი შაურის ხარჩო მეთქინ. სიმსუქნისაგან რომ კისერი ვერ მეიბრუნა თავიან-ტანიან მიბრუნდა, დუუძახა ვინცხას, გამოდი, მოხედე მუშტარსო.

ამ დროს, ვინცხა ფართუკ აფარებული დაბალ-დაბალი, ულვაშდაბურძგნული, თვალები წამოცვენეზე ქონდა, როგორც სამაროობო ვერძი, ისთე მოძგიბული, მუარდა ჩემთან; ვიფიქრე არ დამე-

ტეკოს ამ მშიერ კაცს მეთქინ და ჩავაფრინდი სტოლს. მაგრამ შემაიდგა იქით-აქეთ წელებზე ხელი, ისთე მოძგიბული ხან უკან დეიხევს, ხან წინ წამეიწევს. მე უთხარი: რა გინდა ჩემთან მეთქინ. მან მითხრა: რეიზა მიძახოდიო. მე უთხარი: ხაზეინმა იცის მეთქინ. ხაზეინს მიუბრუნდა—რას მიძახოდი ბატონოვო. პური და ხარჩო მიუტანე მუშტარსო. მიბრუნდა დაძგაზე, წაავლო ხელი სტაქნებს, ერთს დიდს, მეორეს პატარას მომიტანა და დამიდგა წინ. უთხარი რათ გინდა მეთქინ. შენ მარტო არ იცი ღვინის სმაიო ჩემო ბატონოოვო და გაბრუნდა ბუტბუტით. ქე გევიგონე ხაზეინს, რომ უთხრა, არ არის ორსულათო.

ბიჭოს, ვიფიქრე: ქალი ხო არ ვარ ორსულათ რომ ვიყო; ცოტა ქე შევფიქრიანდი, იქნება მართლა ორსული კაცები დაიარებიან ამ დუქანში მეთქინ. სულო ცოდვილო, ხაზეინიც ქე გავდა ორსულს, ისთე იყო გაბრიგინებული მუცელზე.

გამოვძეხი ცოტა, მევითქვი სული, და ვკითხე იქინე იზვოჩიკი, რომ იყო გაჩერებული: თუ ძმა ხარ, იმ პავარმა რომ თქუა ჩემზე, ორსული არ არისო, კაცი ორსულად რავა იქნება მეთქინ. გეიცინა და მითხრა: მაგენი ბრეულ ფულიან კაცს უძახიან ორსულსო, ცოტა ფულიანს კი არაფრათ აგდებენო, იმისთვის, რომ ვერაფერს ჩამორჩებიანო.

ამევიღე ორი შაური და მივეცი რომ მეაწიე კარებთან იმ დაბურძღულმა კაცმა ქე მომაძახა, ვინცხა იყო კაი კუხიკი იყოვო.

ასთე არის ჩემო ბატონო სამტრედიაში. ღმერთმა ნუ გაჭამოს ნურავის პური შიმშილით რომ კვტებოდე. თვარა კარგად გამოგლანძღავენ, არც გაგაძღობენ და ისთე გამოგიშვებენ.

ამით არის, რომ სამტრედიის ნოქრებიდან ბაიბური არ ისმის ხაზეინების წინაშე, ორივე ერთი-მეორეს უკეთესი,. ზრდილობიანი მოპყრობა რათ უნდათ, თვითონ უზრდელი არიან. თუ არ უნდათ კეთილი თავიანთ საკეთილდღეოთ, — მაშინ ღმერთმა აშოროს აქაურ ნოქრებსაც და ხაზეინებსაც კარგი რამე!

არ დამავიწყდეს.

რა ღინი მომივიდა!

(ნაამბობი)

— რომ იტყვიან: „მჭადი გავტეხე და მახარა გამოხტაო“ ჩემი საქმეც ისეთი იყო. არა, თუ ღმერთი გწამს, ის გასაბერავი, ჩემი ამხანაგი საით ჯანდაბიდან გ.მოხტა იმ დაბინდებაზე?!..

საღამოს ჟამი იყო. სადგურიდან ისე ჩუმად გავიპარე, რომ ჩემს ამხანაგებთაგანს არავის გაუგია ჩემი წამოსვლა.

ერთი ქვრივი ქალი მყვანდა შეღვალებული ქვემო სოფელში, მასთან მისვლა არ მეთაკილებოდა; ჰოდა... გავსწიე მისკენ პირდაპირ.

მეორე დღეს შაბათი თენდებოდა. ვიფიქრე: წავალ, ხვალ მისი ქმრის სამძიმარს გადავიხდი, ქვრივს ამით ვასიამოვნებ და თანაც ამალამ ცოტას ვიჭიკჭიკებთ ერთათ მეთქი.—მივდიოდი და მასთან კიდევ სხვაზედაც ვფიქრობდი... ვამზობდი, თუ ღმერთმა მომხედა, ერთი ამ ჩემს კალთებსაც გავახავხავებ, დავბღერტავ მეთქი! . ამ ოცნებაში, რომ ვიყავი გართული, ისე მიუახლოვდი ერთს სახლს, რომ ვერ შევამჩნიე. ცოტა შებინდებული იყო. უცბად გაიღო სახლის კარები—ვიღაც გამოფართხუნდა გარეთ, კარები გამოიხურა, მე დამიახლოვდა და შემომძახა ნელის ხმით:

— ოჰ, გაიოზ, შენ? სად მიხვალ?

სახტად დავრჩი! დავაჭყიტე კარგად თვალები და ის გასაბერავი ჩემი ამხანაგი შემრჩა ხელში!.. აი დასწყევლოს ღმერთმა, რა უნდოდა აქ?

— აგერა ქვევით, სოფელში მივდივარ,—ვუპასუხე მე,—ნინიკა ყოფილა ძალიან ავად და მის სანახავად მივდივარ.

— შენ სად ყოფილხარ?—ვკითხე.

— მე სამთავროდან მოვდივარ.. აქ, მიმითითა სახლზე, შეუხვიე, ძალზე შემცივდა, ცოტაც შევისვენე და ახლა ბინისაკენ მივემართები...

— რას ამბობ, კაცო, შევყვირე, ივლისის თვეში ვის გაუგონია სიცივე, მე ლამის სიცხით გული წამივიდეს?

ნაცვლად იმისა, რომ ამ საკითხზე პასუხი მოეცა ჩემთვის, იმან მითხრა:

— იცი, გაიოზ, მოდი მეც წამოვალ შენთან!..

— აჰ, რას ამბობ კაცო! შევუტიე, —შენ ბინაზედ წადი, ვიღაც მოვიდა იქ, შენა გკითხულობდა, მგონი კიდეც გიცდის, ვიდრე არ მიხვალ!.. თუმცა შევეკითხე, რა საქმე ჰქონდა, არ მითხრა, მაგრამ ვიგრძენი კი, რომ შენთვის ხელსაყრელი საქმე უნდა ჰქონდეს.

— ხომ გესმის, რა გითხარი? აბა, მოუსვი ჩქარა!

— უჰ, რადგანაც ასეა, მაშ წავალ,—სთქვა და მოჰქუსლა!..

როგორც იყო ამ ტყუილებით მოვიშორე თავიდან; მაგრამ ისე კი ღმერთი გაბერავს იმას, რაც მლოდნელი არავინ დახვედროდა იქ!.. ფაშვი გაეხეთქა სირბილით, მაგრამ მტერი დაგრჩეს ხელ-ცარიელი...

რა კი მოვიშორე თავიდან, ჩემს გზას გავუდექი. მიუახლოვდი დიასახლისის სახლს. ეზოში ისე ფეხაკრეფით და ფრთხილათ ჩავიპარე, რომ ძაღლსაც არ გაუგია. მოვუარე სახლის უკანა კარებიდან. მინამ კარებთან მივატანდი, სახლის კედელში პატარა სარკმელი შევნიშნე. ვიფიქრე: მოდი შევიხედავ აქედან და გავიგებ დიასახლისი შინ არის, თუ არა, ან სტუმარი ხომ არავინა ჰყავს-მეთქი. შევიჭვრიტე და ვნახე რომ მარტოდ-მარტო შუაზე დანთებულ ცეცხლის მიმქრალ ნაკვერჩხლებს მისჯდომია, მუხლის ზევითამდე კაბა აუწევია, ტრაყკი ფეხები გაუწვდია ცეცხლის პირას და ნელის ღიღინით თითისტარს აბზრიალებს.

დიდ ხანს უყურებდი გაშტერებულის თვალებით და ვსტკბებოდი იმ გულ-წარმტაცი სურათის სიმშვენიერით. როგორც იყო ავგლიჯე თვალი თავ-დავიწყებით მიშტერებული იმ ბედნიერების წყაროს სანახაობას, მივედი კარებთან, ცოტა

შევდექი, როგორც სტუმრის რიგი და წესი მოითხოვს. მერე ერთი ჩავახველე და ჯოხი მივუკაკუნე კარს.

რამდენიმე წამის შემდეგ კარი გაიღო, მომეგება წინ დიასახლისი პირ-ღიმილით და შემიპატიჟა შინ. ბევრ ხვეწნა და მუდარას აღარ ვსაჭიროებდი, ვახსენე ღმერთი და შევედი სახლში. დიასახლისმა მაშინვე ჭრაქს მოუკიდა, სკამი მომართვა და თვითონ ვახშმის თავდარიგს შეუდგა. სულ მცირე ხნის განმავლობაში უკვე გაამზადა ყველაფერი და ისეთი სუფრა გაშალა, რომ მეფეს ეკადრებოდა. ზედ ერთი კაი მოზრდილი დოქით ღვინოც შემოდგა. ერთი სიტყვით ჯარასავით ტრიალებდა ის მამაცხონებული და თან გემრიელად მემუსაიფებოდა, როგორც მასპინძლის ზრდილობიანი ქცევა მოითხოვდა, მაგრამ მე იმას ყურს არ ვუგდებდი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ გული საგულეს არა მქონია, მეორეც ის, რომ ცალი თვალით სუფრას ვუბღვერდი. პირში ნერწყვები მიშრებოდა და გუნებაში ვამბობდი ნეტავ როდის დამრთავს ჭამის ნებას მეთქი. ამასობაში, როგორც იქნა გადაწყდა ბედი ჩემის სურვილისა და დავიწყეთ ვახშმობა. უნდა გამოვტყდე, რომ მადაც საუცხოო მქონდა.

კარგად შევქეიფიანდით ორთავენი იმ უკვდავება ღვინოთი. რიგიანად რომ შევზარხოშდი, ახალგაზდობის ხალისმა გულში გაიფართხალა, შევეხვეწე: აგრემც თავს შემოგევლები, ერთი ტაში დაუკარი, რადგან ძალიან ცეკვის გუნებაზე ვარ მეთქი. ბევრი მუდარა აღარ დამჭირდა, ის დალოცვილი შვილი ადგა, მაშინათვე მოიტანა დაირა და დააწყებინა დაფდაფი. მეც წამოვხტი ზეზე, დავტრიალდი ციბრუტივით და ავაფრიალე კალთები. აბა, გიყვარდეს, ბუქნა დავუარე იმისთანა, რომ სულ კორიანტელი დავაყენე. რომ მოვრჩი ახლა ჭიდაობის ჟინმა მომი არა. გაღვიკეცე სახელოები, შამოვიკაწპიე კალთები და ვსტაცე ქვრივს საყელოში ხელი. ერთი მაგრა შევაჯანჯღალე, მაგრამ ის შენს მტერს, რომ იმან მე დღე დამაყენა! მამავლო მკლავში ხელი, შამიგდო ბეჭზე და შიგ შუაგულ ნაღვერდალში თავდაყირა ღვლეფა გამადენია. დავიწყე ფხაკუნი, დამეწვა წვერ-ულვაში, წარბები, წამწამი; ამევსო პირი ნაცრით, ისე რომ კინაღამ დავიღრჩვე. ისე გავიტრუსე, რომ ფრანგების მღვდელს დავემსგავსე: ვიფიქრე ეს რა ოინი დამმართა ამ ქალმა მეთქი!

როგორც იყო, ვაი-ვაგლახით გამოვბობღდი ნაღვერდლიდან, მოვიფშვნიტე პირ-სახე. გავაჭყიტე თვალები და დავინახე რომ ჩემი მასპინძელი გულიანად ხარხარებს. მაშინ კი ბრაზმორეულმა დავკრიჭე კბილები, ვებღვენი და ამოვიდე ქვეშ. . . .

ჭიჭიკო.

ჩვენებური ამბები

დ. ყვირილა. აქ უკვე ჩამოვიდა ცნობილი ფალავანდი ნესტორ ესებუა, რომელსაც თან ჩამოჰყვნენ რამდენიმე სახელ განთქმული მოჭიდავენი და კიდევაც გაიმართა რამდენიმეჯერ ამათ შორის ჭიდაობა, აგრეთვე შეუძლიანთ ადგილობრივ ჭიდაობის მოყვარეებსაც ჩაეწერონ საჭიდაო სიაში გამგე ნ. ესებუასთან, და კიდევაც გამოჩნდნენ მსურველები, რომლების ჭიდაობაც ახლო მომავალში მოხდება. იჭიდავებენ შემდეგი „ჩემპიონები“:

1-ლი წყვილი. ცნობილი „ტოლსტიაკი“ (წონით 160 ფუთია) ეხლანდელი ბანკის დირექტორს ვაჭარი მელიტონა დაეჭიდება, ყოფილ „პრეტსედატელს“ ამვე ბანკისას ვაჭარი ტრიფონ ნ—ძე, და რომელიც გაიმარჯვებს „პრემიათ“ მიიღებს: პირველი—კასის კლიტეს და განუსაზღვრელ „კრედიტს“, მეორე კი ისევ ძველ თანამდებობას, რომ რიგიანათ ითარეშოს ისევ ძველებურად თავის საკეთილდღეოთ.

2-რე წყვილი. იპოლიტე დაეჭიდება საშიკოს „უპრემიოთ“, მხოლოდ „ბარბა რეშიტელნაია“.

3-მე წყვილი. ცნობილი „კომპლიმენტისტ-უხეიერისტი კალენიკე და თანაშემწე მისი „ოტსტავნოი“ სტუდენტი ამბერკი, დაეჯახებიან ერთი-მეორეს, გამარჯვებულს ნება მიეცემა ადგილობრივ კლუბის დარბაზში უფასოთ გახსნას უმაღლესი კურსები „არშიყობისა“.

მეთვალყურე.

ნიგოეთი. მასწავლებელი ქალი სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილა, რადგანაც ამ ცოტა ხანში მოშორდება მისი მოტრფიალე მღვდელი, რომელიც უზიდავს აუარებელ ფეშქაშებს....

ხსენებულ ქალს დეპეშა გაუგზავნია კნიაზისთვის, რომ მან იმოგზაუროს ქებურიას ჰაეროპლანით, თორემ ვერ მოუსწრებს მას ნიგოეთში, რადგანაც მალე აპირებს ბათუმში... ეს ერთი ხანია საბრალო ქალს არ ეძინება ღამის ორ საათამდის—სულ კნიაზის ლოდინშია... დღე-დღეზედ ელის მის „ტკბილ ენას“ და ალერს...

ზუხუთი. ანეტას შეუტყვია, რომ დავითს უფეშქაშებია თამროსთვის ქარვათ ღირებული თორმეტი მანეთი და ანეტა თავის კავარლებით ეპირება თამროზე ექსპროპრაციის მოხდენას.

მასწ. ანეტა და ვანო გაკვეთილების დასვენების დროს, „ტანგობიას“ თამაშობენ. მეორე და მესამე განყოფილებაში დღეში სამი გაკვეთილის მეტი არას დროს არ ქონიათ, რადგანაც ანეტა უფრო ადრე ათავებს გაკვეთილებს და ვანოს ეზარება მარტოდ მოცდა სკოლაში და თან ის უფრო ენანება, რომ ანეტას გზაში არ გაეარშიყოს ვინმე—ამიტომ მარტოკას სახლში არ უშვებს.

მ—ლი.

შ ა რ ა დ ა

დავდიოდი მოწყენილი,
ოფლი მდიოდა ღვარადა,
ხეს ქვეშ მივედი, ჩამოვჯექ
სიცხისგან დასაფარადა.
ოდეს შეგრილდა, საჩქაროდ
მუზა მოფრინდა ქარადა

და მომეხმარა საცოდავს
გამომეჩმახა შარადა.

ნადირი, რუხი ფერისა,
პირუტყვთა მოსისხარია,
ერთს არ გაუშვებს თუ შეხვდა:
გოჭი, თხა ანუ ცხვარია.

ზევრჯელ გვინახავს მისგანა
მწყემსები განამწარია,
მას თავში „მანი“ მოსტაცეთ
არ არის მოსახმარია.

როდესაც მიხვდეთ, მოგლიჯეთ
სადაც კი შეხვდეთ „ინი“-ა
და შეინახეთ მერმისთვის,
არ მიგვეპაროს ფინია.

მეორე მცენარეს ჰქვია,
დიდი იზრდება ტანათა,
ზევრია სხვა და სხვა ჯიშის
მინდორში მთა და ბარათა.

როცა კი მიხვდეთ, გაჰყავით
შუაზე თანაბარათა,
პირველი გამოიმეტეთ
წყლისათვის გასატანათა.

და რაც თქვენ დაგრჩეს
წაბით, რომ შევინახეთ „ინი“-ა,
თუ არ მოცილდა წყეული,
ის საძაგელი ფინია.

ყველა ეს, იმას მიაზით,
რაც გვქონდა შენახულია
და შევინახოთ ისევე
არ დაგვრჩეს დაკარგულია.

მესამე—ნეტავ რა არის?
დედისა გულის ვარდია,
მისი სიცოცხლე, ნუგეში,
რომელს არა ჰყავს ფარდია?..

ყველა ერთად შეაერთედ
და შარადა არის ეს მზათ,
წაიღეთ და მიაკერეთ
დასელებსა ავგაროზათ.

წამალია უებარი
წამებულთა გასაროზგათ,
და ურჩიეთ ვაჟ-ბატონებს
რომ იკმარონ ამ ხანობათ.

სეფეს-სეული.

წკიპურტი

მეგობარო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო შემდეგი: გუშინ სიმონას დუქნის წინ გამოკიდული იყო აფიშა, სადაც სხვათა შორის ეწერა: ,,დიდუბის ცირკში იჭიდავებს ბ-ნი კვირკვილიშვილი და **ცნობილი მოკრივე ,,აბისელი‘‘.** რადგან ზოგიერთ ნაცნობმა ჩემზე იჭვი შემოიტანა, ამიტომ საჯაროთ ვაცხადებ, რომ ხსენებული აბისელი მე არა ვარ.

ჟურნალისტი **აბისელი.**

გასართობი

— რას დაღონებულხართ, განა რა მოგივიდათ?—მიმართა მეგობარს ერთმა.

— როგორ არ დავღონდე, ჩემი ცოლი ავად არის და ყოველ დღე ექიმთან დაიარება.

— რომელ ექიმთან?

— რომელთან და ამას წინად ,,ახალ კლუბში‘‘, რომ ახალგაზრდა ლამაზი ექიმი გაიცნო.... ეუბნება თურმე ხანგრძლივი წამლობა გჭირიათო!..

ფოსტა

ნ. ბერიძეს მივიღეთ თქვენი ღია ბარათი, რომლითაც თხოულობთ ვაუწყოთ მკითხველ საზოგადოებას, რომ ჩვენს ჟურნალში მოთავსებული წერილები ,,ნიკო ბერის და ამხ. ფსევდონომით თქვენ არ გეკუთვნის და თქვენ ჩვენს ჟურნალში თანამშრომლად არ ითვლებით. ვამოწმებთ, რომ ,,ნიკო ბერის და ამხ“ ფსევდონიმით მოწოდებული წერილები ნიკო ბერიძეს არ ეკუთვნის და ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენს ჟურნალს წერილებს არ აწვდის ამას იქამდე წინად დებას ვაძლევთ ჩვენს კორესპონდენტს სხვის ფსევდონიმს თავი დაანებოს.

ახალგაზრდა მგოსანი.

ოქროს ფეხი... ოქროს ფეხი.
ოქროს ფეხი ქალწულისა
სიმბოლოა უცნაური
სიკვდილის და სიცოცხლისა!..



რედაქტორების სავარჯიშო.

გზა სიარულმა დალია,
სიპი ქვა წყალმა დენამა,
დალია რედაქტორები
ამ ას-ცხრა მუხლზე რბენამა.

ტფილისი სტამბა „შრომა“ მუხრანის 1.
რედაქტორ-გამომცემელი დ. მელაშვილი.